

კიტა ბუაჩიძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. სრულიად საიდუმლო – განაჩენი №194 გამოტანილი ამიერკავკასიის სამხედრო ფრონტის მიერ, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტების მიმართ. მათ შორის იყო კიტა (ნიკიტა) ბუაჩიძეც, რომელიც გათავისუფლდა მტკიცებულებების არ არსებობის გამო. 1942 წ. 22 სექტემბერი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 17 გვ.

2. ოქმი იმის თაობაზე, თუ როგორ დაიწუნა კმარჯანიშვილის სახ. თეატრმა სპექტაკლი “ეზოში ავი ძაღლია”.

პირი: გვინჩიძე, თ.ციციშვილი, ლ.შატერაშვილი, ლ.იოსელიანი, ს.ზაქარიაძე, დ.ჯანელიძე, გ.ლორთქიფანიძე, შ.ღამბაშიძე, ვ.ტაბლიაშვილი. (ავტორისეული ჩასწორებებით). 1954 წ. 7 სექტემბერი, ნაბეჭდი, 9 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

3. კიტა ბუაჩიძის განმარტებები წიგნისათვის: “Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьевичу” რომელიც დაწერა მოსკოვის საერთაშორისო წიგნის გამოფენისათვის. 1989 წ. 5 სექტემბერი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

4. კიტა ბუაჩიძის პუბლიცისტური ნაშრომი 1990-იან წლებში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით.

1990 წ. 31 ოქტომბერი, ნაბეჭდი, 22 გვ. 2 ეგზ. 1 ეგზ. (აკლია პირველი და ბოლო ფურცელი).

5. კიტა ბუაჩიძის პუბლიცისტური სტატია: “კიდევ ერთი ცდა სიმართლის დასადგენად”, ანუ “მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა” (ილია). ამონარიდები ჟურნალ-გაზეთებიდან საგაზეთო სტატიისათვის: “პრეზიდენტი კომმარული ოპერიდან ანუ სატანის აგენტი საქართველოში”.

1993 წ. ივნისი, ნაბეჭდი, 129 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა კიტა ბუაჩიძის წერილები

6. კიტა ბუაჩიძის საიდუმლო წერილი ბ-ნ ედუარდ შევარდნაძისადმი. 1985 წ. 2 თებერვალი, ნაბეჭდი, 17 გვ.

7. კიტა ბუაჩიძის წერილი ნატალია მიხეილის ასულ ქვლივიძისადმი. წერს, რომ მისი პიესები “ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე” და “პლატონის ფორმულები”, რომლის რედაქტორ-გამომცემელია ნატალია ქვლივიძე არ სურს, რომ გამოსცეს, რადგან მისი კორექტურა ავტორისათვის მიუღებელია.

1986 წ. 24 იანვარი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 14 გვ.

8. კიტა ბუაჩიძის წერილი ნატალია მიხეილის ასულ ქვლივიძისადმი. წერს, რომ მისი “კომედიების კრებული”, რომლის რედაქტორია ნატალია ქვლივიძე არ სურს, რომ გამოსცეს, რადგან მისი კორექტურა ავტორისათვის მიუღებელია.

1986 წ. 20 მარტი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 3 გვ.

9. კიტა ბუაჩიძის წერილი საქ. ტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარე არმაზ სანებლიძისადმი. მოუწოდებს, რომ ტელეგადაცემას “ენა, დედაა ერისა” ხელი შეუწყოს და გააძლიეროს.

2986 წ. 7 აპრილი, ავტოგრაფი, 2 გვ.

10. კიტა ბუაჩიძის წერილი “თეატრალური მოამბის” რედაქტორ გურამ ბათიაშვილისადმი. ავტორი გამბედაობას უქებს ბათიაშვილს, რომელმაც “თეატრალურ მოამბეში” – ჟურნალში – დაბეჭდა ვახტანგ ტაბლიაშვილის მოგონებები, სადაც ის ამხელს კ.მარჯანიშვილის მოწაფეების უმადურობას და ითხოვს კიტასაც დაუბეჭდოს “ღია ბარათი დ.ჩხიკვიშვილისადმი”, სადაც იგი ეხება დავითის ლიტერატურულ ნაშრომს.

1986 წ. 10 აპრილი, ნაბეჭდი, 3 გვ.

11. კიტა ბუაჩიძის წერილი საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარეს არმაზ სანებლიძისადმი. ამონაბეჭდი პროგრამიდან “ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი” რუბრიკისათვის “ბიუროკრატთა გაღერვა”. ბუაჩიძემ შეავსო ანკეფა, ამჟამად ეს იყო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პავლე გილაშვილი.

1987 წ. იანვარი, ნაბეჭდი და დასტამბული, 3 გვ.

12. კიტა ბუაჩიძის წერილი საქ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გიორგი ციციშვილისადმი. შუამდგომლობს საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელ ინგილო ქალს ლუდმილა ტარტარაშვილს ბინის მიღებასთან დაკავშირებით.

1987 წ. 25 თებერვალი, ავტოგრაფი, 3 გვ.

13. კიტა ბუაჩიძის წერილი ბათუმის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის სტუდენტთა ერთი ჯგუფისადმი. იწონებს მათ პატრიოტულ სულისკვეთებას ერის დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

1987 წ. 20 ოქტომბერი, ავტოგრაფი (ქსეროასლი), 2 გვ.

14. კიტა ბუაჩიძის წერილი-თხოვნა ედუარდ შევარდნაძისადმი. თხოვს შუამდგომლობას, რათა მისი ნაწარმოები: “Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьевичу” დაიბეჭდოს საკვანძო პრესაში დაბეჭდვასთან დაკავშირებით.

1988 წ. 4 აპრილი, ნაბეჭდი, ქართულ და რუსულ ენებზე, 3 გვ.

15. კიტა ბუაჩიძის წერილი ჯუმბერ პატიაშვილისადმი. ავტორი აცნობს მას საქმის ვითარებას, რომ ბ-მა ნუგზარ ფაფხაძემ დაავალა გამომცემლობა “მერანის” რედაქტორ გურამ გვერდწითელს, რათა მან სასწრაფოდ გამოსცეს კიტა ბუაჩიძის წიგნი “ასტაფიევი”. იმის გამო, რომ გვერდწითელი ფეხს ითრევს გამოცემაზე, ამიტომ თხოვს პატიაშვილს, რომ მან მისი გამოცემა დაავალოს გამომცემლობა “განათლებას”.

1988 წ. 27 ივლისი, ნაბეჭდი, ქართულ და რუსულ ენებზე, 3 გვ.

16. კიტა ბუაჩიძის ორი წერილი ჯუმბერ პატიაშვილისადმი. ბარათებში მიმოიხილავს პოლიტიკურ საკითხებს, საქართველოს მასმედიაში დამკვიდრებულ ბიუროკრატებს და ითხოვს დახმარებას, რათა დაიბეჭდოს მისი “ასტაფიევი”. ბარათებში მოხსენიებულნი არიან: მ.გორბაჩოვი, პრიმაკოვი, ა.იაკოვლევი, გვერდწითელი, ნ.ფოფხაძე, ი.შარტავა, ო.ევაძე.

1988 წ. 26 სექტემბერი, ნაბეჭდი, ქართულ და რუსულ ენებზე, 9 გვ.

17. კიტა ბუაჩიძის წერილი ჯუმბერ პატიაშვილისადმი. ეხმინება ორ ვრცელ სტატიას გამოქვეყნებულს “ლიტერატურულ საქართველოში”. ერთი სტატია ეხება ქართველი ერის დემოგრაფიულ მდგომარეობას. მეორე სტატია კი თეატრს. ორივეს მიმოიხილავს დიდი

გულისტკივილით და თხოვს ცეკას პირველ მდივანს, რათა იგი გულისყურით მოექცეს ამ ორივე გადაუდებელ დიდ პრობლემას.

1988 წ. 4 ოქტომბერი, ნაბეჭდი, 9 გვ.

18. კიტა ბუაჩიძის წერილი ბ-ნ ჯუმბერ პატიაშვილისადმი. წერილში მიმოიხილავს მ.გორბაჩოვის “გარდაქმნის” აკარგვიანობას.

1988 წ. 16 ოქტომბერი, ნაბეჭდი, ქართულ და რუსულ ენებზე, 4 გვ.

19. კიტა ბუაჩიძის წერილი ბ-ნ ჯუმ. პატიაშვილისადმი თხოვს შუამდგომლობას, რათა მისი ორი წერილი მიძღვნილი დავით აღმაშენებლისა და პლექხანოვ “დამანგრეველისადმი” დაიბეჭდოს საკავშირო პრესაში.

1988 წ. 31 ოქტომბერი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 3 გვ.

20. კიტა ბუაჩიძის წერილი ცენტრალური კომიტეტის მდივან ნუგზარ ფოფხაძისადმი. თხოვს ხელი შეუწყოს მისი “ასტაფიადის” გამოცემას.

1988 წ. 1 ნოემბერი, ნაბეჭდი, 1 გვ.

21. კიტა ბუაჩიძის პირადი ხასიათის წერილი თამაზ კვაჭანტირაძისადმი.

1989 წ. 3 იანვარი, ნაბეჭდი, 2 გვ.

22. კიტა ბუაჩიძის წერილი საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ბ-ნ გივი გუმბარაძისადმი. იწონებს მის გამოსვლას სახალხო დემოკრატია ყრილობაზე, წერს გენერალ როდონოვზე და 9 აპრილის ტრაგედიაზე, მიმოიხილავს 1989 წელს პოლიტიკურ სიტუაციას და თურქი მესხების საკითხს.

1989 წ. 14 ივნისი, ნაბეჭდი, 3 გვ.

23. კიტა ბუაჩიძის წერილი ვიქტორ ასტაფიევისადმი. პასუხად მისი წერილისა “Ловля пескарей в Грузии” და ბუაჩიძის წერილი “Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьевичу”-ს შესახებ.

1989 წ. აგვისტო, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ახლავს ავტორის მინაწერი – 1992 წ. 7 გვ. 2 ეგზ.

24. კიტა ბუაჩიძის წერილი რევაზ მიშველაძეს. თხოვს შუამდგომლობას გამომცემლობებთან, რათა დაიბეჭდოს მისი სტატია “საით მიექანება ქართული თ-რი” ამონარიდი წიგნიდან “შავი წიგნი”.

1989 წ. 16 ნოემბერი, ნაბეჭდი, 3 გვ.

25. კიტა ბუაჩიძის პირადი ხასიათის წერილი რიმა ფეოდოროვნასადმი (გვარი?).

1990 წ. 8 იანვარი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

26. კიტა ბუაჩიძის საპასუხო წერილი ქ-ნ მ.გ.ბაქრაძეს, საუბარია ბუაჩიძის ქიგნის “Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьевичу”-ს შესახებ.

1990 წ. 18 იანვარი, ნაბეჭდი, ავტოგრაფი, ქართულ და რუსულ ენებზე, 4 გვ.

27. კიტა ბუაჩიძის პირადი ხასიათის საპასუხო წერილი ვ.ნ.ანისიმოვისადმი.

1990 წ. 5 მარტი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 2 გვ.

28. კიტა ბუაჩიძის წერილი გივი გუმბარაძისადმი. თხოვს, რომ თუ მისი წერილი “ვაცალოთ ბაღს დამწიფება” არავის აუხელს თვალს, დააბრუნოს.

1990 წ. 4 ნოემბერი, ხელნაწერი, ნაბეჭდი, 2 გვ.

29. კიტა ბუაჩიძის წერილი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თ.სიგუასადმი. ავტორი აღფრთოვანებული მიესალმება კანონს, რომელიც აჯარიმებს მძღოლებს 500 და 1000 მანეთით წესრიგის დარღვევისათვის.
1991 წ. 7 მარტი, ნაბეჭდი, 2 გვ.
30. კიტა ბუაჩიძის წერილი ქართული ეროვნული თვითშეცნობის ასოციაციის თავმჯდომარის ბ-ნ ჯანსუღ ღვინჯილიასადმი. წერს, რომ არ სურს იყოს თვითშეცნობის ასოციაციის წევრი.
1991 წ. 28 მარტი, ნაბეჭდი, 2 გვ.
31. კიტა ბუაჩიძის თხოვნის წერილი საქ. რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის უფროსისადმი ბ-ნ რევაზ ღლონცისადმი. ითხოვს სასწრაფოდ დაუბეჭდონ მისი წიგნი “შავზე, შავი წიგნი”, რომელიც იხილავს საქართველოს სავალალო ვითარებას.
1992 წ. ოქტომბერი, ნაბეჭდი, 1 გვ.
32. კიტა ბუაჩიძის წერილი გურამ ფანჯიკიძისადმი. თხოვს, რომ მისი შერცხვენის ნაწილობრივი რეაბილიტაციისათვის “ლიტერატურულ საქართველოს”-ში მთლიანად დაბეჭდს მისი “ღია წერილი ბ-ნ ზვიად გამსახურდიას”.
1992 წ. 25 დეკემბერი, ნაბეჭდი, 2 გვ.
33. კიტა ბუაჩიძის წერილი გაზეთ “დრონის” მთავარ რედაქტორს არჩილ გოგელიძისადმი. წერს, რომ წერილის “ღია წერილი საქ. რესპ. პრეზიდენტს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას” არ არის მისი, არამედ არის ვინმე ჯონდი ნადარაიასი, რომ კიტა ბუაჩიძე არასოდეს იქნება ზვიად გამსახურდიას მოთაყვანე არც როგორც პრეზიდენტის და არც მწერლის! ამიტომ თხოვს, რომ გაზეთ “დრონი”-ს საშუალებით დადგინდეს სიმართლე.
1993 წ. 6 იანვარი, ნაბეჭდი, 1 გვ.
34. კიტა ბუაჩიძის წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი. თხოვს შუამდგომლობას გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” მთავარ რედაქტორ გურამ გოგიაშვილთან რათა მან დაბეჭდოს მისი სტატია “კომმარული ოპერეტა” ანუ “სატანას აგენტი საქართველოში”.
1993 წ. 30 მაისი, ნაბეჭდი, 5 გვ.
35. კიტა ბუაჩიძის წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი. სთხოვს შუამდგომლობას გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” მთავარ გ.გოგიაშვილთან, რათა მან დაბეჭდოს მისი ტრილოგია: 1. “ასი დღე ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო მმართველობის, ანუ “არა შეჯდა მწვერი ხესა, არა იყ ოგვარი მისი”, 2. “პრეზიდენტი კომმარული ოპერეტიდან”, ანუ “სატანას აგენტი საქართველოში”, 3. “თებერვალი, მარტი, აპრილი, აჰა მაისიც!.”
1993 წ. 30 მაისი, ნაბეჭდი, 6 გვ.
36. კიტა ბუაჩიძის წერილი სახელმწიფოს მეთაურის მთავარ მრჩეველს კულტურის დარგში ვასათიანისადმი. თხოვს უშუამდგომლოს, რათა დაიბეჭდოს მისი “ტრაგიკული დროის მიმოხილვა” – პუბლიცისტური ნაშრომი.
1993 წ. 18 ოქტომბერი, ნაბეჭდი, 4 გვ.
37. კ.ბუაჩიძის “შინაური ღია ბარათი, ციტატებითურთ” ხსოვნის საერთაშორის საზოგადოება “სტალინი”-ს თავმჯდომარეს გ.ონიანს.
1994 წ. 10 იანვარი, ნაბეჭდი, 14 გვ.
38. კიტა ბუაჩიძის წერილი ვაჟასადმი. თხოვს დაუბეჭდოს 2 წერილი “მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა” და “შინაურული ღია ბარათი”.
1994 წ. 20 იანვარი, ავტოგრაფი, 2 გვ.

39. კიტა ბუაჩიძის “ჯერჯერობით არცთუ სულ შია ბარათი...” ანუ წერილი თემურ ჩხეიძისადმი. თხოვს რომ მან სანქტ-პეტერბურგის თეატრის სცენაზე დადგას მისი რომელიმე კომედია.

1994 წ. 20-21 თებერვალი, ნაბეჭდი, ქართულ და რუსულ ენებზე, 10 გვ.

40. კიტა ბუაჩიძის წერილი გაზეთ “ლიტერატურული საქართველოს” რედაქტორ – თამაზე წიგწივაძისადმი. სთხოვს წერილი, რომელიც სურს გამოაქვეყნოს გაზეთ “ლიტერატურული საქართველოს” ფურცლებზე, გადაკეთებისა და ამოკლების გარეშე დაბეჭდოს.

პირი: ედუარდ შვეარდნაძე, ჯუმბერ კოპალიანი, გოგიაშვილი.

1994 წ. 28 თებერვალი, ნაბეჭდი, 4 გვ.

41. კიტა ბუაჩიძის წერილი რეჟისორ გიორგი-გოგი თოღაძისადმი. წერს, რომ გახარებულია მისი გადაწყვეტილებით, რომ აპირებს დადგას მისი პიესა “ამბავი სიყვარულისა”. თხოვს, რომ თუ ისე დადგამს, როგორც დაუწერია დადგას, თუ არა და ნუ დადგამს საერთოდ.

1994 წ. 28 მარტი, ნაბეჭდი, 9 გვ.

42. კიტა ბუაჩიძის წერილი მარჯანიშვილის თ-ის სამხატვრო ხელმძღვანელ ოთარ მელვინეთუხუცესისადმი. წერს თავისი პიესის “ამბავი სიყვარულისა”-ს შესახებ. თუ როგორ გამოიდეს თავი ოთარმა და სხვებმა ამ პიესის რეპერტუარიდან ამოსაღებად.

1995 წ. 26 აპრილი, ნაბეჭდი, ავტორისეული ჩასწორებებით, 19 გვ.

43. კიტა ბუაჩიძის პირადი ხასიათის წერილი აკადემიკოს დიმიტრი ლიხანოვისადმი. აგრეთვე ნინა ბოიკოს (მუსიკის მასწავლებელი) და ვინმე სტანისლავ ბორისის ძისადმი.

1996 წ. 11 აგვისტო, 1990 წ. 12 აპრილი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 3 გვ.

44. კიტა ბუაჩიძის წერილი თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის ირაკლი ანდრიაძისადმი. მადლობას უხდის სასიამოვნო ამბისათვის, რომ თბილისში მრგვალ ბაღთან დაპროექტდა მიწისწვეშა გასასვლელი.

1996 წ. 11 აგვისტო (წერილი დაიწერა 1990 წ.) ავტოგრაფი, ნაბეჭდი, 2 გვ.

45. კიტა ბუაჩიძის წერილი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ტარიელ (გვარი?)-დმი. თხოვს დაუბრუნოს მიტაცებული მასალები წიგნისა “შავზე შავი წიგნი”.

1996 წ. 11 აგვისტო, ნაბეჭდი, 1 გვ.

46. კიტა ბუაჩიძის პირადი ხასიათის წერილი ჟურნალისტ გურამ ალექსანდრისადმი.

1996 წ. 11 აგვისტო, ავტოგრაფი, 3 გვ.

47. კიტა ბუაჩიძის პირადი ხასიათის წერილი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივან ვ.მ.ოხეროვისადმი.

უთარილო, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

წერილები კიტა ბუაჩიძისადმი

48. გამომცემლობა “საბჭოთა მწერლ”-ის რედაქტორის წერილი კიტა (ნიკიტა) ბუაჩიძისადმი. ატყობინებენ, რომ ცოტაოდენი შესწორებებით, რომელსაც ავტორი გააკეთებს, დაბეჭდავენ მის “ექვს კომედიას”.

1986 წ. 11 აპრილი, მოსკოვი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

49. აკადემიკოს დიმიტრი ლიხანოვის პირადი ხასიათის წერილი კიტა ბუაჩიძისადმი.

1987 წ. 30 მაისი, მოსკოვი, ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

50. რაულ ჩილაჩავას წერილი კიტა ბუაჩიძისადმი. მაღლობას გამოთქვამს მწერლის (კიტას) პუბლიცისტური ნაწერების გამო.

1988 წ. 6 ივლისი, ავტოგრაფი, 1 გვ.

51. ვლ.კრუპინის სამადლობელო წერილი კიტა ბუაჩიძისადმი წერილისათვის “Длинное письмо Астафьевичу”.

1989 წ. 28 ნოემბერი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 2 გვ.

52. ალექსანდრე ღლონტის სამადლობელო წერილი კიტა ბუაჩიძისადმი საჩუქარ “შავი წიგნი“-სათვის.

1990 წ. 16 აპრილი, ავტოგრაფი, 1 გვ.

53. დიმიტრი ლიხაჩოვის პირადი ხასიათის წერილი კიტა ბუაჩიძისადმი.

1991 წ. 19 აპრილი, მოსკოვი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

54. უცნობი პირის პირადი ხასიათის წერილი გიორგი ალექსანდრეს-ძე ტოვსტონოგოვისადმი.

უთარილო, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

პროგრამა

55. კიტა ბუაჩიძე: “Провинциальная девушка”. მოსკოვის დრამატრში გამართულ დრამატიული სპექტაკლების დათვალიერებაზე წარდგენილი პროგრამა.

1960 წ. 12 დეკემბერი, დასტამბული, რუსულ ენაზე, 1 გვ.ზ.

დეპეშა

56. კიტა ბუაჩიძის დეპეშა სსრკ-ს ბოლოს პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვისადმი. დეპეშაში საყვედურობს, რომ 7 იანვრის “უკაზი” სხვა არაფერია თუ არა საქართველოდან ქართველების გაძევებისა.

უთარილო, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 გვ.

სხვადასხვა

57. პროფესორ იოსებ მეგრელიძის პუბლიკაციური ნაშრომი “Буачидзе против явления в нашей жизни”. მიმოხილულია ოთხმოციან-ოთხმოდგაათიანი წლების პოლიტიკური სიტუაციები მთელ სსრკ-ში. პუბლიკაციას ხელს აწერს სომეხი პროფესორი სერგო ჩობანიანი.

1989 წ. 16 ნოემბერი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ბეჭდვი, 19 გვ.

58. ლ.ლიხაჩოვის წერილი პროფესორ ნოდარ ღომოურისადმი. უკმაყოფილო პასუხი ლიხაჩოვისა ნ.ღომოურის წერილზე გაზეთ “იზვესტიაში” გამოქვეყნებულ სტატიაზე საქართველოს შესახებ.

1991 წ. 19 აპრილი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 2 გვ.

59. მეგობრული შარუები:

1. ისააკ შმიდტი – დოდო ალექსიძე
2. “—” – სერგო ზაქარიაძე
3. ლატვიელი მხატვარი –
4. ისააკ შმიდტი – შუღიკი დოდო ანთაძე

1989 წ. 1994 წ. შავი ფერის გუაში, 4 გვ.

60. მარკიზ დე კიუსტონი: “ნიკოლოზ პირველის რუსეთი” – “Россия времен Николая I” ამონარიდები წიგნიდან, რომელიც ახასიათებს რუსი ეროვნების ხალხს. ტექსტი თავდება ვაჟა-ფშაველას ლექსით “არქივი ენახე დაჭრილი”-ს რუსული თარგმანით. უთარილო, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 2 გვ.